საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	12	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	13	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	76	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ნონა თოლორაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნონა თოლორაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

		შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ოთხი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორი და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6^2 ნაწილით გათვალისწინებული

ერთი სამართალდარღვევა. ხსენებულთაგან ორ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ხუთ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევას აქვს ვადაგასულის სტატუსი.

ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული და პროფესიული კეთილსინდისიერებით.

ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ გამოიკვეთა კანდიდატის აქტივობა პოლიტიკურ საქმიანობაში, რაც თავადაც დაადასტურა, თუმცა ამ ნიშნით ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. ნონა თოლორაია რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია როგორც სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ადამიანი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

		წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა გულახდილობას და ღიაობას. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ ქცევას პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. არსებული ინფორმაციით, საქართველოს გენერალური პროკურატურაში ნონა თოლორაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატის განმარტებით მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის განაჩენი, მის მიმართ ცრუ და უკანონო ბრალდების საქმეზე. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად ნონა თოლორაიას მიმართ წარსულში მიმდინარეობდა სისხლის სამართლებრივი დევნა სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისის რედაქციით) გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, ასევე გამოქვეყნებულია მისი ინტერვიუები პოლიტიკური საქმიანობის შესახებ. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის

			პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. 5. ფინანსური ვალდებულება მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ნონა თოლორაიას საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა შვიდი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები ორ შემთხვევაში გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ხოლო ხუთ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევას აქვს ვადაგასულის სტატუსი. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	

სამართლის ნორმების ცოდნა	12	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ხუთ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისას და გასაუბრებისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ნონა თოლორაია საშუალოდ ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს, რისი თქმის საშუალებასაც მაძლევს კანდიდატის პასუხები დასმულ შეკითხვებზე, მაგალითად აუცილებელ მოგერიებაზე და სისხლის სამართალში ანალოგიის გამოყენების თაობაზე დასმულ შეკითხვებზე, კანდიდატის პასუხები იყო ბუნდოვანი, არადამაჯერებელი და სიღრმისეულ ცოდნას მოკლებული. კანდიდატის პასუხებში არ სჩანს ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ცოდნაც.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	13	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ხუთ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ლოგიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით თანმიმდევრული და

			დასაბუთებულია, რასაც ვერ ვიტყვი გასაუბრების პროცესში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მის მიერ გაცემულ პასუხებზე. ნონა თოლორაიას 21 წლიანი პროფესიული გამოცდილება დაკავშირებულია როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობასთან. 2000 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2016 წლიდან არის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი.
წერის უნარი	15	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ წარმოდგენილ ხუთ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტაციის ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება ადვილად. წერილობითი მოსაზრებები გარკვევით არის ჩამოყალიბებული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ძირითადად სწორად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნონა თოლორაიას აქვს დახვეწილი წერისა და კომუნიკაციის უნარი.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის მეტნაკლებად სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას შეძლებისდაგვარად ცხადად გადმოსცემს. მას შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია, თუმცა მისი მსჯელობა არ არის კონსტრუქციული. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად არცთუ ისე გასაგებად გადმოსცემს. გასაუბრებისას შეიმჩნეოდა მცირედი მღელვარების ნიშნებიც, რაც მეტნაკლებად აისახებოდა კანდიდატის მსჯელობაზე. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვს შეფასებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს, ასევე რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის პროფესიული თვისებები პოზიტიურად აქვს შეფასებული რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ნონა თოლორაიამ 2000 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნონა თოლორაიას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. კანდიდატი პერიოდულად მონაწილეობდა სამართლებრივი საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებში. მიმაჩნია, რომ კანდიდატი ახერხებს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები.
ქულათა ჯამი	76	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ხელმოწერა: